

კვირის დღეები

ორშაბათი მოდის ნელა,

მოაქვს ბევრი საქმე.

კაცის გარდა ვის აკიდებს?

ალბათ შვიდ დიდ აქლემს.

სამშაბათიც მოდის სწრაფად

მოაქვს ბევრი საქმე.

და ორშაბათს ეხმარება,

განა შრომობს ნაკლებს?

ოთხშაბათი ისე ჩქარობს,

არ ჩამორჩეს სხვა ძმებს.

გართობისთვის არ ცალია,

ყვირის: საქმე, საქმე!

ხუთშაბათი მოდის, მოდის,

ის მოყვება მეტროს

ბევრი საქმე აქვს და ცდილობს,

დრო როგორმე ეყოს.

პარასკევიც ჩქარობს, ჩქარობს,,

მოაქროლებს ავტოს.

დრო არ ჰყოფნის საქმისათვის

ერთი დღე აქვს მარტო.

მოდის, მოდის შაბათი და

მოაქვს ბევრი ძილი,

არც ფეხით და არც მეტროთი

არსად გარბის დილით.

ბოლოს მოდის კვირა,

ყველას ტკბილად ძინავს.

მარიამ წიკლაური